სახალხო გაზეთი

№ 560 ხუთშაბათი, 29 მარტი, 1912 წ. № 560

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

|სურათებიანი დამატება|

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

სოფიო წულუკიძისა, იულია ფაღლენიშვილისა, სოფიო (ფაცია) ყიფიანისა და გრიშა ქუთათელაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროვოდ გარდაცვალებულის პირველის—საყვარელ შვილისა, დანარჩენთა—ძვირფას ძმის

თ-დ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის **წულუკიძის**

გამოსვენება წმ. ნინოს სასაფლაოს ნიშიდან და დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე მოხდება დღეს, 29 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე.
(1—329—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 29 მარტს, ქართ. დრ. მსახიობთა ამხ. მიერ წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორ. პიესა **ალ. ყაზბეგისა**

ქეთევან წამებული, დრამა 5 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, გუნია, გამყრელიძე, ივანიძე, ქივიძე, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, ციციშვილი. **დასაწყ. სად. 8 ს.**

(2.1146.2) **ადგილ. ფასი დაკლებულია.** რეჟისორი **გუნია.**

ზუბალაშვილების სახ. სახლი

ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე პარასკევს 30 მარტს 1912 წ. გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

1. **გამცემი** დრ. 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.
2. **მათიკო** მე-3-მე მოქ. ავქ. ცაგარლისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგი წევრი **1. რომანიშვილი-დგებუაძე.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** (5—1174—4)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა **ახალ პატრონთა ხელში გადასული**

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ.	1—5 ს.	5—2 ს.
საუზმე—30 კ.	**სადილი.**	**ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდები გოც ს. საჭმელებს სახლებშიაც ვგზავნით თვიურად, დიდის შეღავათით.
(თ.—113—16)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი და ბავშვთა ავადმყ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ქალთ. ავ. (ქირურგ. გინეკ.)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალთ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—302)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი 1/8 დიდი. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის):

Тифлисъ. Коргановская № 20, собст. д. Д-ру Мих. Гедевани.
(3—1153—3)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ, **ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს**

„ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ცალი—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა **„ძმანი სეილანოვები“.**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.7)

კვლავ გასასყიდად გავრცელდა ჩვენი პაპიროსების

ახალი მიბაძულება

თუმცა ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ვერც ეხლა გაიტანენ ლელოს ბოროტ-განმზრახველი მეტოქენი და ვერაგულ მიზანს **ვერ მიაღწევენ.**

ყოველგვარ საქონლის საუკეთესო დამფასებელი—**კონკურენტია.**

ჩვენს ნაწარმოებს არავინ არ წაჰბაძავდა, თუ რომ მას დიდი გასავალი არა ჰქონდეს და **მუდმივად** არ იზრდებოდეს საზოგადოებაში მისი მოთხოვნილება.

თუ ვისმეს შეცდომაში შეყვანა შეიძლება გარეგანის მიმსგავსებით,

შინაგანი ღირსება ჩვენი ნაწარმოებისა,

ხომ ყოვლად წაუბაძველია.

იმის მეოხებით, რომ ჩვენს ნაწარმოებზე მოთხოვნილება დღითი-დღე ფართოვდება და დასამუშავებელ საქონელს ჩვენ პირდაპირ პირველის ხელიდან ვყიდულობთ მუდამ ნაღდ ფულად, ჩვენ ყოველთვის საშუალება გვაქვს გავაუმჯობესოთ ღირსება ჩვენის ნაწარმოებისა. მხოლოდ ვთხოვთ ბატონ მომხმარებელთ, სყიდვის დროს ყოველთვის **ყურადღება მიაქციონ** საქარხნო მარკას და ჩვენს ფირმას.

იჯარადარნი მის იმპერატორებით უდიდებულესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძისა.

თამბაქოს ქარხანა სამ. სახ.

„ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით“.

ტფილისი. (5.1173.2)

ტფილისის

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა **გუნდი**

(დაარსებული 1910 წელსა).

15-დან 50 კაცისაგან შედგენილი და ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებით გამოწყობილი, რომელიც ასრულებს ხალხურ სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, იღებს მონაწილეობას ქართულ კონცერტებში, მუსიკალურ დილა-საღამოებზედ, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. ამ გუნდთანვე არსდება **„ქართველ მუშათა გუნდი“**-ც. გუნდის მიწვევა-დაკვეთა **ერთი კვირით ადრე** და ახალ მომღერლების მიღება-ჩაწერა გუნდში იკითხეთ **მ. კავსაძესთან,** სამშაბათობითა და ხუთშაბათობით საღამ. 5—6 საათამდინ. ავჭალის მოედანი № 11. (5.1163.4)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.42)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 267)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით

(წლ. 1090 23)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.78).

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—186)

გამოცდილმა მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** **ღებულობს ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.123

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 1 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, პინცეზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—69).

გორში

იყიდება სახლი

რომელშიაც მოთავსებულია „მიროვოი სუდი“ ცნობისთვის მიმართეთ: გორში, ნიკოლ კონსტ. ანდრონიკაშვილს—მე 2 უჩილიშჩაია, სახ. თვალიევისა. (3—3191—1)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.5)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 138)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—10).

ექიმი კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.1)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967. (100—1117—127).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ჭაჭაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—57)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—65.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—2)

ექიმი ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—26).

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **შავი ზღვის პირის რკინის გზის გასაყვანად** შემდგარა ახალი ამხანაგობა. ამ ამხანაგობას სათავეში უდგას ანჟენერ-ტეხნოლოგი ვ. ა.

ლომოვი და ინგლისის ქვეშევრდომი მილიონერი დორნტონი. ისინი ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობენ, რომ ამ გზის გაყვანა მათ გადაეცეს შემდეგის პირობებით: გზას გაიყვანენ ტუაფსედან ქვალონის პატარა სადგურამდე, გზის სიგრძე 321 ვერსი იქნება. ეს გზა 81 წლის განმავლობაში ამ ამხანაგობის გამგეობასა და სარგებლობაში იქნება, მერე კი ხაზინის საკუთრებად გადავა. ამხანაგობას უფლება ექნება ააშენოს საწყობები, ელევატორები, საგრილობელი საწყობები, ნავთსადგურები, სანატორიები, სასტუმროები. ამასთანავე უფლება ექნებათ დაამუშაონ ქვანახშირი და სხვა მადნეულობანი და მოაწყონ ხე-ტყის მრეწველობა. გზა უნდა გაიყვანონ 4 წლის განმავლობაში მუშაობის დაწყებიდან.

◆ დღეს, 29 მარტს, მეოთხე გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფენი დილის მატარებლით **საექსკურსიოდ** მიემგზავრებიან გორში. სხვათა შორის დაათვალიერებენ გორის მახლობლად მდებარე უფლის ციხეს.

◆ ცნობილი მომღერალი **ვანო სარაჯიშვილი** მომავალ სეზონისათვის მიუწვევიათ სახაზინო თეატრის საოპერო დასში. სარაჯიშვილსა და ანტრეპრენიორს ი. ზ. ფალიაშვილს უკვე დაუდვიათ ხელშეკრულობა.

◆ ამ გაზაფხულისათვის მთავრობის ხარჯით **ტფილისსა და კოჯორს** ტელეფონით შეაერთებენ. ზაფხულის სეზონის აბონიმენტი 35 მანეთი ეღირება.

◆ ტფილისის სააბრეშუმო სადგურთან ჯიშიან ფრინველთა მოსაშენებლად ააგებენ საგანგებო შენობას, რომლისთვისაც ხაზინას 3050 მანეთი გადაუდვია. მის შესანახად ყოველ წლივ 1250 მანეთი გადაიდება.

◆ **პროფესორმა გ. ფ. მოროზოვმა** 26 მარტს დაათვალიერა ტფილისის საბოტანიკო ბაღი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ 31 მარტს, საღამოს 7 საათზე ქალთა მეორე გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია კავკასიის ქალთა უმაღლეს სასწავლებლის ღარიბ მსმენელთა დამხმარე საზოგადოების კრება.

◆ პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 7 საათზე, სააბრეშუმო სადგურის დარბაზში დანიშნულია კრება ფრინველის მოშენების მოყვარულთა საზოგადოებისა. ბ-ნი ა. ა. ქალანთარი წაიკითხავს მოხსენებას ადგილობრივ ფრინველთა ჯიშის გაუმჯობესებაზე.

ბათომი

ზღვა საშინლად ღელავს. გიმნაზიის მახლობლად რელსის რკინებით გამაგრებული კედელი მოჭგლიჯა. ნაპირს ორ არშინზე ძირი გამოუთხარა. გუბერნატორმა დეპეშით მიჰმართა ნამესტნიკს და საქმის მოსაგვარებლად სთხოვა 30 ათას მანეთის მიშველება.

ფოთი

◆ დღეს, 29 მარტს, სომხების სკოლის შენობაში **ქუთაისის ქართული დრამატიული დასი** გამართავს მხოლოთ ერთ წარმოდგენას ითამაშებენ პირველად ჭანტურიშვილის ახალ პიესას **„მორევში“** და ვოდევილს **„ოინბაზი“**. წარმოდგენის წინ შ. დადიანი წაიკითხავს რეფერატს პიესაზე.

◆ აქედგან დასი გაემგზავრება **სოხუმში**, და კოზლოვის თეატრში შაბათს, 31 მარტს წარმოადგენს ნ. შიუკაშვილის პიესას **„სიმახინჯე“**.

◆ დასი შესდგება თექვსმეტი მსახიობისაგან და თან ახლავს საკუთარი დეკორატორი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ მეთაურში დაბეჭდილია: „ერთის მხრივ ოქტომბრისტებისა და **სექციას** შეებრძოლება“ უნდა იყოს **„რეაქციას“**.

ახალ ამბებში დაბეჭდილია: ბაქოს ქალაქის თავად **გელოვანს** ასახელებენო, **უნდა იყოს გოლოვინს.**

წერილს „წერილი სიღნაღიდან“ ქვეშ აწერია **ი. ჭოტორელმა**, უნდა იყოს **ი. ჭოტორელი**..

ქუთაისის ვითარება

ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის 45 მოსწავლეთაგან პედაგოგიურ საბჭოს სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდის ნება მიუცია 34 მოსწავლისათვის. გამოცდა დაიწყება აპრილის დამლევს სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის წარმომადგენლის დასწრებით.

⁂

ჩვეულებრივი **წლიური კრება საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა** დაიწყება 20 მაისს. ჩვეულობრივ კითხვათა გარდა, კრება განიხილავს იმ კითხვებსაც, რომელნიც იანვარში მომხდარ არაჩვეულობრივ კრებაზე უნდა განხილულიყო.

⁂

საადგილ-მამულო ბანკის **მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდება** ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ უკანვე დააბრუნა რწმუნიბულთა და კასის მონაწილეთა განსახილველად, რადგანაც წესდების შეთანხმების დროს არ შეუსრულებიათ ფორმალური მხარე,

⁂

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა მთავრობამ წინადადება მისცა **ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის** სამზრუნველო კამიტეტს და პედაგოგიურ საბჭოს ხელ-მეორეთ განეხილათ საკითხი მოსწავლეთა დასჯისა, მოსწავლეთა სასჯელი იგივე დასტოვეს. ეს გარემოება, როგორც ამბობენ, დიდ ცვლილებას გამოიწვევს სამზრუნველო კომიტეტის წევრთა შორის.

კ. ლოლობერიძის ავადმყოფობისა და სიკვდილის გამო, წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობის დროებით აღსრულება მიუნდვიათ ამავე სასწავლებელის მასწავლებლის თ-დი ბესარიონ მიქელაძისათვის.

⁂

ქალაქის საბჭომ საბოლოვოდ გადასწყვიტა წყლის გამოყვანა მიანდოს დადიანსა და კანცელს ხელშეკრულობის იმ ცვლილებით, რომელიც შეიტანა მასში ნამესტნიკის კანცელარიამ. ამ ცვლილებაზე, როგორც მკითხველს მოეხსენება, კანცელმა და დადიანმა თანხმობა უკვე გამოაცხადეს.

⁂

ბ-ნი მ. ქორელის მეცადინეობით შესდგა წრე, რომელმაც განიზრახა მოძრავ თეატრის მოწყობა. ამისათვის შეკვეთილია დეკორაციები, ავეჯი სარეკვიზიტო ნივთები იმ განზრახვით, რომ ისინი ადვილი გადასატანი იყვნენ და გარდა ამისა პროვინციის სცენებზე მოეწყვნენ. ერთდროული აუცილებელი ხარჯი ამ საქმისათვის 500 მანეთია. ბ-ნ ქორელს იმედი აქვს ამ ხარჯს პირველსავე მოგზაურობის შემდეგ აინაზღაურებს.

⁂

დრამატიულ საზოგადოების მიერ განზრახული **სეზონი** გაზაფხულისთვის ვერ მოეწყო უსაღსრობისა გამო.

⁂

31 მარტს ბ-ნი **მ. ქორელი** მართავს საღამოს ლიტერატურული განყოფილებით, გარდა ერთ მოქმედებიანი პიესის წარმოდგენისა, პროგრამაში შედის სალიტერატურო მუსიკალური და საცეკვაო განყოფილება. საღამო დასრულდება **კაბარეთი.** პროგრამა, როგორც ამბობენ, საინტერესოთ არის შედგენილი. ეჭვი არ არის საზოგადოება ბლომად დაესწრება.

ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით დასჯილ ყოფილ მოსამსახურეთ ყვირილის საურთიერთო ბანკისას ბ-თ ჩხეიძეს, ქადაგიძეს და ბაქრაძეს. საქმე პალატაში გადააქვთ. ამავე სასამართლოს მიერ სასჯელისაგან განთავისუფლებულ ბ-ნი გუნცაძის შესახებ პროკურორის ამხანაგს პროტესტი ჯერ ჯერობით არ შეუტანია.

⁂

24 მარტს დაასაფლავეს წმ. ნინოს სასწავლებელის გამგე **კ. ლოლობერიძე.** განსვენებულის თავის მკვლელობა ასე მომხდარა. წინა ღამეს მას მიუხმია ექიმი ჩარკვიანი, რომელთანაც რჩევა ჰქონია თავის წამლობის შესახებ. ბ-ნი ჩარკვიანის სიტყვით განსვენებული სრულებით არ ახდენდა ისეთი კაცის შთაბეჭდილობას, რომელსაც თავის მოკვლა აქვს განზრახული. დილაზე კარგ გუნებაზე ამდგარა და როცა იმისი ოჯახი საუზმის მზადებას შესდგომია მას უსარგებლია ამ შემთხვევით, გასულა სასტუმრო ოთახში, ჰირსახოცი მიუმაგრებია ფეჩზე, მიუდგამს სავარძელი, და როცა კვანძი გაუკეთებია პირსახოცით, სავარძლისათვის ფეხი უკრავს და ჩამოკიდებულა. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, როცა მოუკითხავთ იგი, მაგრამ როცა მიუგნიათ, მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ ისევ თბილი ყოფილა, ველარ მოუბრუნებიათ.

განსვენებულს უკანასკნელ ხანებში ფსიხიური ავადმყოფობა ემჩნეოდა; ერთხანს სამკურნალოდ იყო წასული. უკანასკნელ ხანებში თავს კარვადა გრძნობდა, მაგრამ წმ. ნინოს სასწავლებელში მომხდარ ამბების გამო, კვლავ შეაქცია. უკანასკნელ რევიზიის შემდეგ იგი სამსახურიდგან გადადგა და მის მაგივრობა დროებით თ-დ მიქელაძეს მიანდეს.

წერილი ჭიათურიდან

(მსაჯულის ნ. კ. რაზმაძის გადაყვანა)

კარგა ხანია ჭიათურის საზოგადოებაში ხმები დადიოდა ადგილობრივი მსაჯული ნიკო კირილეს ძე რაზმაძე გადაჰყავთო. ეს ხმები, ჩვენდა საუბედუროთ, თან და თან მართლდება.—ცოტა ხანი კიდევ და ეს ღირსეული ადამიანი მართლაც მოგვშორდება. გადამეტებით რომ არ ვსთქვა, კარგა ხანია ჭიათურლებს არ გვღირსებია ასეთი პატიოსანი და უანგარო მოღვაწე პირი. ყველა ჩვენგანმა ძლიერ კარგად იცის, ვისაც კი რაიმე საქმე ჰქონია ადგილობრივ სასამართლოში, რომ ბ. ნიკო როგორის დაკვირვებით, მეტის სიფხიზლით და გამჭრიახობით ეკიდებოდა ამა თუ იმ საკითხს, რომელიც მას უნდა გაერჩია... დიდი ხანია, რაც პრესაში და საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებს, რომ ადამიანისთვის მარტო კანონები კი არ კმარა,—საჭიროა მისი ღირსეულად და მიუდგომლად აღსრულება.. ბ-ნი ნ. რაზმაძე პატიოსნად და სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ვინ არ იცის, რომ ეს ჩვენი დუხჭირი ცხოვრება სავსეა „კურიოზებით“. თუ თვით მოსამართლის სული, გული, მთელი მისი ფსიხოლოგია პატიოსნების და ადამიანობისკენ არაა, რა თქმა უნდა მისი გადაწყვეტილი საქმეც უფერული და უსამართლო გამოვა... ჩვენებურ ნახევრათ უენო და გაძვალტყავებულ გლეხობას სად აქვს იმდენი ძალა და საშუალება, რომ უმცროს სასამარლოებში წაგებული საქმე კიდევ ათრიოს!!.. მას სრული იმედი აქვს, რომ შევა თუ არა დაბალ სასამართლოში, როგორც მართალი—მართლად გამოვა... და აი, სწორედ ამ იმედით ქუდმოშვლეპილი შერბის სასამართლოში!.. და თუ იქ დახვდა მას ისეთი მოსამართლე, რომელიც მას სულს და გულს მოუწამლავს თავის გადაწყვეტილებით, მაშინ ხომ სამუდამოთ მოკვდა მისთვის სიმართლე, დაიმარხა ჭეშმარიტება!!.. რიგიანი და პატიოსანი ადამიანები რა თქმა უნდა ყველგან კარგია, მაგრამ უსაჭიროესი კი—დაბალ სასწავლებლების არ იყვეს, დაბალ სასამართლოებში უფროა!!. აი, ამ ზემოთ აღნიშნულ გარემოების მიხედვით, ჭიათურლებს არ შეგვიძლიან, დავივიწყოთ ბ. ნიკო რაზმაძე. ის დიდი ხანი არაა, რაც ჭიათურაშია, მაგრამ უანგარო და პატიოსანი მოღვაწეობით ჩვენს გულში ღირსეული კვალი დასტოვა.—მადლიერი ჭიათურის საზოგადოება იმედია ღირსეულად დააფასებს მის ამაგს.

ი. ბელიაშვილი.

ნეკროლოგი

(მოწერილი ახალციხიდან)

ორი სამი კვირაა, რაც ახალციხის ქართველმა საზოგადოებამ სამუდამოდ დაჰკარგა ორი ახალგაზდა, მხნე საზოგადო მოღვაწე: ქეთევან იოსების ასული კანდელაკისა და გიორგი იოსების ძე ქაჩხოაშვილი, პირველი 30—32 წლისა, ტფილისის დედათა პროფესიანული სასწავლებელში კურს დამთავრებული და მეორე 27 წლისა, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის სწავლა მიღებულნი.

განსვენებულები, მიუხედავათ იმისა რომ საკუთარი ოჯახებიც საზრუნველი ჰყავდათ, მაინც არა ზოგავდენ თავს და დიდი სიმხნითა და ენერგიით ემსახურებოდენ ადგილობრივ საზოგადო კულტურულ საქმეებს. იყვენ პატიოსნები და ზდიდნენ შვილებს სამაგალითო პირობებში. ისე არ დაიდგმებოდა ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, რო განსვენებულებს არ გამოეჩინათ თავიანთი მხურვალე თანაგრძნობა არც თაკილობდენ კარი-კარს სიარულით გაესაღებინათ განსვენებულებს წარმოდგენის ბილეთები, რათა მისი შემოსავლით გაეძლიერებიათ.

ორივენი გარდაიცვალენ ტფილისში, სადაც სამკურნალოდ იყვენ წასულნი. პირველი იქვე, ტფილისში მიაბარეს, მეორე—ახალციხეში. განსვენებული გ. ქაჩხოაშვილის დაკრძალვას დიდი საზოგადოება დაესწრო ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, თუმცა ცუდი და ტალახიანი ამინდიც იყო. დასაფლავებაზე გრძნობიერი სიტყვები წარმოითქვა. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვ. კანდელაკის სულის მოსახსენებლადაც, სადაც მოკლე სიტყვით აღნიშნა მისი კეთილ-მოქმედება დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა.

მესხი კ. გვარამაძე.

ჩინეთი*)

I

მდებარეობა. ცნობები ძველ ჩინელებზე. პირველი გაცნობა ევროპიელებისა ჩინელებთან. გარეგანი შეხედულება. ტანისამოსი. საჭმელი. მიწის დამუშავება. ჩინელების შრომის მოყვარეობა. ხელოსნობა და მრეწველობა.

ვის ეგონა თუ, მშვიდობის მოყვარე ჩინელი როდისმე ხმას ამოიღებდა და გაუმკლავდებოდა ცის შვილს (ასე ეძახიან ჩინელები თავიანთ [illegible] კაცი, რომ [illegible] ჩინეთის [illegible] თავისუფლების სხივი. დღეს ჩინეთში სამკვდრო-სასიცოცხლო ომია გამოცხადებული. გამარჯვება დარჩება ან მანჯურიის დინასტიის წარმომადგენელს, ან ხალხს. ძნელი სათქმელია ვინ გამოვა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული. ჩინეთი თავისი მდებარეობით და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებით საგულისხმო მხარეს წარმოადგენს. ამიტომ ვეცდები მოკლედ გაგაცნოთ მათი ზნე-ჩვეულება. ეს მით საჭიროა, რომ ნათლად დავინახოთ, როგორ მოხდა რომ ჩინელებმა ამოიღეს ხმა და გამოუცხადეს ბრძოლა ჩინეთის მმართველებს.

ჩინეთი უძველესი სახელმწიფოა. ოთხი ათას წელზე მეტია, რაც ჩინეთი არსებობს. ჩინეთის იმპერიას უჭირავს მთელი შუა აზია, თვით ჩინეთი და მანჯურია. მთელი თავისი სამფლობელოებით ჩინეთი დაახლოვებით რუსეთის ნახევარის ოდენაა, ხოლო მცხოვრებლები კი ორჯერ მეტია ჩინეთში, ვიდრე რუსეთში; სახელდობრ, რუსეთში 156 მილ. მცხოვრებია ჩინეთში კი 390 მილიონი.

ძველად ჩინეთი შესდგებოდა პატარ-პატარა ნაწილებისგან. ამ პატარ-პატარა ნაწილებს ერთი მეორესთან არაფერი დამოკიდებულება არა ჰქონდათ-რა. ქრისტეს დაბადების 200 წლის წინედ გამოჩენილმა ტცინ-ჩი-გოანგ-ტუმ შეაერთა ეს პატარა ნაწილები ერთ დიდ სახელმწიფოდ და მას შემდეგ დღემდის ჩინეთი არსებობს იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიაც დასტოვა ტცინ-ჩი-გოანგ-ტუმ: ამის შემდეგ მას არც დაჰკლებია, არც მომატებია. პირველი ცნობები ჩინეთზე ევროპიელებმა მიიღეს მე-13 საუკუნის დამლევში, ერთ გამოჩენილ მოგზაურ მარკო-პოლოსაგან. ის სცხოვრობდა ჩინეთში 17 წელიწადს და კარგად გაიცნო იმათი ზნე-ჩვეულება. მე-14 საუკუნის განმავლობაში ევროპიელებს არ შეუწყვეტიათ ჩინელებთან კავშირი, მაგრამ დინასტიის გამოცვლის დროს ევროპიელებს აუკრძალეს შესვლა ჩინეთში, ამ რიგად უცხოელებისთვის დაიკეტა ჩინეთი მე-16 საუკუნემდის. 1516 წელს პორტუგალიელები შევიდნენ ჩინეთში და ჩინელებმაც იგინი კარგად მიიღეს. უცხოელები ავიწროვებდნენ ჩინელებს, მშვიდობის მოყვარე ჩინელებმა დაუწყეს მათ მტრულის თვალით ცქერა და ბოლოს უცხოელები გააძევეს ჩინეთიდან. დიდ ხნობამდის აღარ შეუშვეს უცხოელები ჩინეთში. მხოლოდ მე-19 საუკუნეში ისევე შეუშვეს და მას შემდეგ ჩინეთსა და ევროპას შორის გაჩაღებული აღებ-მიცემობა სწარმოებს.

---

*) შედგენის დროს ვსარგებლობ კრუკოვსკის წიგნით და ივანოვით.

ჩვენი ბელეტრისტები.

მოთხრობები დუტუ მეგრელისა.*)

წერილი პირველი.

პირდაპირ და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მე-XIX და XX საუკ. ჩვენი ერის ცხოვრება დაახლოვებითაც არ არის აღბეჭდილი ჩვენს ქართულს ეროვნულ ხელოვნებაში, კერძოდ—სიტყვა-კაზმულს მწერლობაში. ამ დროის ჩვენი ცხოვრება კი დიდად რთული და მრავალ-ფეროვანია. ეს ცხოვრების სირთულე გამოწვეულია სხვა და სხვა კლასებისა და ჯგუფების იდეათა, გრძნობათა, სულისკვეთებათა და მისწრაფებათა სხვა და სხვა გვარობით. დღეს ყველა სჩივის და უკმაყოფილოა, რომ ჩვენ არა გვაქვს ღირსეული, შინაარსიანი, ნამდვილი ეროვნული ბელეტრისტიკა, დრამა და სხვა დარგი მწერლობისა. მაგრამ ამავე დროს ყველანი ვგრძნობთ, რომ ჩვენ გვებადებიან ისეთნი ნიჭიერნი მხატვარნი, რომელნიც ღირსეულად შესძლებდნენ ჩვენი რთული ცხოვრების დახატვას, გარემოება, ჩვენი მოუმზადებლობა ხელს რომ არ უშლიდეს. ამ შეგნებაშია ტრაგიზმი ჩვენის მდგომარეობისა.

ჩვენ აქ გაკვრით უჩვენებთ, თუ რა და რა ტიპიური ცხოვრების მოვლენანი არსებობდნენ და არსებობენ და ჩვენმა ხელოვნებამ კი, კერძოდ—სიტყვა-კაზმულ მწერლობამ, ვერ შესძლო მათი, თუ დახატვა არა, აღწერა მაინც.

მე-XIX საუკ. დასაწყისში ჩვენში დამყარდა ახალი ცხოვრება. ნიადაგი ძველის ცხოვრებისა შეირყა და მთელი ისტორიული შენობა თანდათან ინგრეოდა. მაგრამ პირველ ხანებში ამ ძველ შენობის ნანგრევებში აქაიქ კიდევ მოსჩანდა თავისებურობა წარსულისა თვისის დაგვიანებულის ორიგინალობით.

ირაკლის დროის ქართველები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ახალ დროის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობაში და დამყარებაში. ისინი ქალაქებში ან თავიანთ მამულებში სოფლად ნელ-ნელა ჰქრებოდნენ და თან მიჰქონდათ სამარეში მთელი, თუ მდიდარი არა, თავისებური მაინც ყოფილი კულტურა.

ეს საინტერესო ტიპი გარდამავალ ხანისა ჩვენმა ლიტერატურამ ვერ აღბეჭდა.

ირაკლის დროის ქართველებისაგან დაცარიელებულ ადგილზე ჩვენში გამოჩნდნენ თავისუფალი მოაზრენი და პოლიტიკურ იდეებით გამსჭვალულნი თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი, რომელთა ხსოვნაში ახალმა დრომ ჯერ კიდევ „ვერ წარხოცა სხივი წარსულის“. ესენი იყვნენ მეფის წულნი და ჩინებულნი თავადის შვილნი, შთამომავალნი მეფეთა გვარეულობისა. ამ პირთა გონებრივი, ზნეობრივი, ფსიხოლოგიური და პოლიტიკური სულის კვეთება და მისწრაფება დიდს მასალას მისცემდა დაკვირვებულს ხელოვანს. მათი პიროვნება მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგიერთნი მათგანი, ერთს დროს დამნაშავენი, აჯანყების მეთავენი და ძველ წეს-წყობილების მოტრფიალენი, ჩქარა ჩაებნენ სამსახურში, გახდნენ ერთგულნი და მხოლოდ „ოსტავკაში“, სიბერის ჟამს, დაიწყეს კვლავ ოცნება და ჭმუნვა.

ჩვენმა ხელოვნებამ ეს მრავალ მხრით საინტერესო ტიპიც ვერ აღნიშნა.

ამ ერთს დროს „ავლაბრის ყაზარმაში“ დამწყვდეულს და მერე ჩინორდენებით დაჯილდოვებულს თაობას მოჰყვა ახალი, თავად-აზნაურობის წრიდან გამოსული, თაობა. სულ სხვა სახის და სულის დედებისაგან აღზრდილი და სიყრმიდან ახალს „ნანას“ მიჩვეული, ეს თაობა ერთგულად და მტკიცედ შეუდგა სამსახურს, მომეტებულად სამხედროს და ღირსეულადაც დაიმსახურა წლობა და ყურადღება უფროსებისა და ქება-დიდება მშობლებ-ნათესავებისა. ბრწყინვალედ მოეწყო ამ თაობის პირადი ცხოვრება, მხოლოდ მას დაავიწყდა თვისი კერა, თვისი ვინაობა... ბოლოს მან უდარდელ ცხოვრებით გაფლანგა, ნაჭერ-ნაჭერად გაჰყიდა მამა-პაპეული მიწა-წყალი და „ბოთურ-ცხრაში“ წააგო. ამას დაემატა ოჯახის შერყვნაც: დედას შეეცვალა „გული ცხოველი“, მამის ხსოვნაში „წარიხოცა სხივი წარსულის“, შვილი ნამდვილი გადაგვარების გზას დაადგა.

ეს სამწუხარო მოვლენაც არა აქვს აღბეჭდილი ჩვენს ხელოვნებას.

ქართველი ინტელიგენცია მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდის წარმოადგენს შესანიშნავს მრავალგვარობას. ქართველ ინტელიგენტთა წრეში შედიოდნენ და დღესაც შედიან წარმომადგენელნი სხვა და სხვა წოდებისა, წრისა და ხელობისა გარემოება ხელს უწყობდა, მომეტებულად ბოლოს დროს, ჩვენში ინტელიგენტთა წრის ზრდას და გართულებას. რელიგიოზური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და პოლიტიკურ იდეებს რამოდენიმე ხანაში (მესამოცე წლებში და მე-20 ს. დასაწყისში) ჩვენშიაც ჰქონდა დროებით თავისუფლება. ამ თავისუფლებით ფართედ ისარგებლა ჩვენმა ინტელიგენციამ. ქართველ ინტელიგენტთა წრეში თქვენ შეამჩნევდით და დღესაც შეამჩნევთ: ძველს ვოლტერიანებს, კარამზინის ტიპის სანტიმენტალისტებს, სხვა და სხვა ფერის ხასიათის მისტიკებს, ნატურ-ფილოსოფიის და შელლინგის მოწაფეებს, ადამ სმიტის გატაცებულ მკითხველებს, კონსტიტუციის მომხრეებს, პოლიტიკურად უკიდურესს მოაზროვნეებს, ფურიე და მარქსის თაყვანისმცემლებს, სოლოვიოვი და ბერდიაევის მიმდევრებს და ამათთან გვერდით—ნამდვილ ობსკურანტებს, მეცნიერების, განათლების და საზოგადოდ მოწინავე იდეების მდევნელებს, გამცემლებს, მოღალატეებს, ქართველ აზეფებს და კიდევ მრავალ ამგვარ საზიზღარ ტიპებს. ჩვენმა ხელოვნებამ ვერ ისარგებლა ასეთის მდიდარის მასალით და ვერ დაგვიხატა ცოცხალი ტიპი ქართველ ინტელიგენტისა; ვერ გადაგვიშალა მისი სული და გული, ვერ ჩაგვახედა მისი სინდისის და რწმენის ნამდვილს წყაროში.

ასეთსავე სხვა და სხვაობას და სიჭრელეს წარმოადგენდნენ და დღესაც წარმოადგენენ ჩვენი მწერლებიც. ყველა ეს ჩვენი კლასიკოსები, სანტიმენტალისტები, რომანტიკოსები, ტეტიათა მოტრფიალენი, კარლ მარქსის და ენგელსის თაყვანისმცემელნი, დეკადენტები, სიმბოლისტები, მისტიკები, მოხუცებულნი და ახალგაზდანი, „მამა და შვილნი“ კამათობდნენ და დღესაც კამათობენ, იგინებიან, რიგდებიან, კვლავ ჩხუბობენ, ჰსცემენ ჯგუფობით ჟურნალ-გაზეთებს, ალმანახებს; აქვთ თავ-თავიანთი კრებები, ბაასი, მიმართულება... და ბოლოს კი თითქმის არაფერი გვიანდერძეს წასაბაძველი, საშვილიშვილო.

ჩვენს ხელოვნებას გამოეპარა უყურადღებოდ ეს მოვლენაც.

განსაკუთრებული ადგილი ამ ჩვენს ინტელიგენტთა ისედაც რთულს წრეში უჭირავთ ახალ დროის ქართველ ქალებს, რომლებიც განათლებით, გონების და გრძნობის მიმართულებით და სულის კვეთებით ერთმანეთს უფრო ჰგვანან, ვინემ მამაკაცები ერთმანეთს, მაგრამ მაინც თავისებურ და დამაფიქრებელ ტიპს წარმოადგენენ. ქართველი ქალი ახალ „ნანინას“ მომღერალი, ქართველი ქალი „გაქალბატონებული“, ქართველი ქალი „ტანცი-მანციის“ მოყვარული და „ლოტოში“ გართული, ქართველი, ქალი ენა შერყვნილი და ზნეობით დამდაბლებული, ქართველი ქალი ოჯახის გადამგვარებელი და გარემოებათა მონა-მორჩილი... და ამათთან გვერდით—ქართველი ქალი მწერალი, შეგნებული მოღვაწე, ერთგული მეუღლე, სასიქადულო დედა, თავგანწირული მოქალაქე! აი რას წარმოადგენენ ქართველი ქალები.

ხელოვნება კი კრძალვით გვერდს უვლის ქალებს და მიუდგომლად არ აღბეჭდავს მათს შეცვლილ სახეს და გულს.

ამავე დროს, თუ ჩვენ ქართველ ინტელიგენციას თვალს მოვაშორებთ და დავაკვირდებით ჩვენი ერის დაბალს წოდებებს და წრეებს, მაშინ აქაც: ვაჭრებში, ხელოსნებში და გლეხებში ჩვენ წავაწყდებით მდიდარს მასალას, ბევრს ორიგინალურს ტიპებს, რომლებიც ინტელიგენტებზე ნაკლებად არ არიან საინტერესონი ხელოვნებისათვის. რიცხვი ამგვარ საინტერესო ტიპებისა გაათკეცდება, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ეტნოგრაფიულს სხვა და სხვა ფეროვნებას. თითოეულს საქართველოს კუთხეს, მომეტებულად დაბალს წრეებში, აქვს თავისი ხასიათი. ამნაირად, მასალა ჩვენის ერის დაბალ ელემენტების ცხოვრებიდგან აუარებელია. ჩვენი მწერლები მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად სარგებლობენ ამ მასალით. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს წრე მაინც ყველაზე უფრო აღბეჭდილია ჩვენს ლიტერატურაში: ჭონქაძის, ილიასი, აკაკისა, ლომოურის, მგალობლიშვილის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასი და ძმათა რაზიკაშვილთა, ნინოშვილის, გ. წერეთლის, კლდიაშვილის, ბნელისი, ავ. ცაგარლის, გ. ერისთავის, დ. მეგრელის, შ. არაგვისპირელის, ია ეკალაძის, ს. ელეფთერიძის, ბარნოვის და სხვების ნაწარმოებში ჩვენი ხალხური ცხოვრება ტიპიურად და ცოცხლად არის აწერილი.

შესამუშავებელი და აღსაწერი მაინც კიდევ მრავალია.

აქ ჩვენ მოკლედ უჩვენეთ ის, თუ რამოდენად მდიდარია ჩვენში სალიტერატურო მასალა. ახლა კითხვა იბადება: როგორ ისარგებლეს ამ მდიდარ მასალით ჩვენმა მწერლებმა? შეიგნეს თუ არა მათ ხასიათი და შინაარსი იმ ისტორიულ, ეკონომიურ და გონებრივ პროცესისა, რომელიც

---

*) შარშან შესრულდა 25 წელიწადი, რაც ბ-ნი დუტუ მეგრელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ამით უფრო საგულისხმოდ და შესაფერად მიგვაჩნია მის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა, რის გამოც სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ბ-ნ ი. ვართაგავას წერილებს.

პირველ გაცნობისთანავე ჩინელებმა გააკვირვეს ევროპიელები თავიანთი ზნე ჩვეულებით და განათლებით. თურმე ჩინელებს ევროპიელებზე უფრო ადრე სცოდნოდათ ქაღალდის გაკეთება და დამუშავება, წიგნების ბეჭდვა, კომპასის გაკეთება, ჩაის ხმარება და მოყვანა დაუზადებიათ საუკეთესო და გასაკვირველი აბრეშუმის ქსოვილები, მაგრამ რა განათლების წერტილზე დასტოვეს ევროპიელებმა მე 13 საუკ. ჩინელები, ისეთივე დარჩნენ და არიან დღესაც. ევროპიელებთან გაცნობამ მათ არაფერი არ შემატა.

ჩინელები ეკუთვნიან მონგოლთა ტომს. უმეტესი ნაწილი ჩინელებისა საშუალო ტანისანი არიან. ფერი კანისა აქვთ მუქი ყვითელი; თავის სარქველი აქვთ ოთხკუთხი, თვალთ ქვეშ ლოყის თავები გამოწეული, ალამცერი და პატარა თვალები, ფართო სახე, დიდი პირი და ბრტყელი ცხვირი, მაგარი, თხელი შავი თმა. წინ თმას იპარსავენ და უკან გრძლად აქვთ თმა ჩაშვებული. წვერ-ულვაში ძალიან თხელი აქვთ.

ჩინელები ატარებენ გრძელ ტანისამოსს მოლურჯო ფერისას, რომლებსაც იკრავენ გვერდზე. ფეხსამოსს უღებენ ქაღალდის ძირებს, თავზე ჰხურავთ პატარა შავი ქუდი. ზაფხულობით მუშაობის დროს შალვრის მეტი ტანზე არაფერი აცვიათ. წვიმის დროს იხურავენ ჩალის წამოსასხმელს და ჩალისვე წვეტიან ქუდს. ზამთარში იცვამენ რამდენიმე ხალათს. დედაკაცებსაც აცვიათ გრძელი ტანთსაცმელი. ყველა ჩინელები იცვამენ ერთგვარად; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მდიდრები ატარებენ ძვირფას ტანთსაცმელს ვიდრე ღარიბები. ჩინელებს ძვირფასი სამკაულების ტარება არ უყვართ. მოხელე-მანდარინები ტანისამოსზე ატარებენ შუშის მარჯნის ოქროს, ან კიდევ ვერცხლის ღილებს. დედა-კაცები თმაში იბნევენ სხვა და სხვა ყვავილებს. პირისახეს და წარბებს იღებავენ და ამგვარად ლამაზდებიან.

როგორც დედა-კაცები ისე კაცები ძალიან უსუფთაონი არიან. ისინი ტანთსაცმელს იქამდისინ ატარებენ, სანამდისინ არ გაცვდება, ამ დროს განმავლობაში ისინი სრულიადაც არ რეცხავენ. ამიტომ იმათი ყველა ნივთი ძალიან ჭუჭყიანია და უდის რაღაც შემზარავი სუნი.

ძალიან ძნელად მიეჩვევა შეუჩვეველი ადამიანი იმათ საჭმელებს. სადილად ბევრი საჭმლების მოტანა იციან. საჭმელებს ყველას ერთად მიიტანენ და სდგამენ სუფრაზე. ჩინელები სჭამენ განსაკუთრებულ ფაიფურის თეფშებზე, დანა ჩანგლის მაგივრად ხმარობენ ორ პატარა ფაიფურის ჩხირებს. ხელს იწმენდავენ ლურჯ ქაღალდის ნაჭერზე. ჩინელების საუკეთესო საჭმელი ბრინჯი, ლობიო და თევზია. ხშირად შეექცევიან ძაღლებს, კატებს, ვირთაგვებს, ზამბახის ფესვებს და სხვებს. სხვათა შორის ჩინელების საყვარელი საჭმელია ზოგიერთა ზღვის ჭიები, ბაყაყები, ზღვის კიბოები ზღვის მატლები და ზღვის მერცხლის ბუდეები. საჭმელებს ხშირად უშვრებიან ნიორს და წვრილად დანაყილ ქირით. ჩინელები არა სჭამენ ძროხის ხორცს, არც ხბოსას. სარწმუნოება სასტიკად უკრძალავს სჭამონ ისეთი საქონლის ხორცი, რომლებიც ადამიანს ეხმარებიან ხვნა-თესვის დროს. ჩინელები სჭამენ მარტო ღორის ხორცს. სადილის წინ მოიტანენ ტკბილეულობას და ბოლოს კი წვნენს. არც წყალი და არც პურის მოტანა არ იციან სადილის დროს. პურის მაგივრად ხმარობენ მოხარშულ გამხმარ ბრინჯს. მაგარ სასმელებს ჩინელები არა ხმარობენ გარდა ბრინჯის არყისას, რომელსაც სვამენ პატარა ჭიქით, რომელიც მოგვაგონებს სათითეს. შეუჩვეველ კუჭს არ შეუძლიან მოინელოს ამოდენა საჭმელი. ყოველი სადილი და ვახშამი თავდება ჩაით. ჩინელებს სამოვრები არა აქვთ. ჩაის ადუღებენ პატარა ქურქელში; სვამენ ჩაის უშაქროდ, კოვზს არა ხმარობენ. ჩინელები რძეს არა სვამენ, რძეს ეძახიან თეთრ სისხლს და ხმარობენ წამლად. იმ დროს როდესაც რუსები მთელ სამოვარს გამოსცლიან ხოლმე, ჩინელები ერთ ჭიქას სმას უნდებიან რამდენიმე საათს. დედაკაცები ერთად არ სადილობენ და საზოგადოდ ერთად არაფერს სჭამენ. უმთავრეს საჭმელს ღარიბი კაცისას შეადგენს ბრინჯი, კომბოსტო, ჩაი და ბოლს გამოსული თევზი.

ჩინელები თევზაობენ გასაოცარის ხერხით. იმათ შეაჩვიეს ერთი ზღვის ფრინველი თევზის ჭერას. კისერზე მას რგოლს უკეთებენ. რომ არ ჩაყლაპოს თევზი. ფრინველები ჩადიან წყალში, იჭერენ თევზს და მოაქვთ პატრონებთან. საღამოობით კაცმა შეიძლება დაინახოს ამნაირი სურათი. ბრუნდებიან სახლში თევზის მჭერავნი ნავებით და მოაქვთ აუარებელი თევზი, წინ კი უსხედან ზღვის ფრინველები

სადილის შემდეგ იბანენ შუბლს და პირს თბილი წყლით. როგორც ზევითაც ვსთქვი, მაგარ სასმელებს არა ხმარობენ. სამაგიეროდ ოპიუმს ძალზე ეტანებიან. ოპიუმს აკეთებენ მკვახე ღაჟღაჟიდან. ოპიუმი უფრო ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის სხეულზე, ვიდრე მაგარი სასმელები. ჩინეთში თითქმის ყველანი ეწევიან ოპიუმს დაწყებული 20 წლიდან. დღეში თითო ჩიბუხს სწევენ, ზოგნი კი დღეში 5 ან 10, რის გამოც თავბრუ ესხმით, უვარდებათ საშინელი თავის ტკივილი და ტკბილი ძილი მოსდით. ძილი გრძელდება 4-5 საათი. გაღვიძების შემდეგ დიდს სისუსტესა გრძნობენ. ბევრ ოპიუმის მწევარს სახის გამომეტყველება უგუნური, უტვინო და შესაბრალისი აქვს.

ჩინეთში მცხოვრებლები ძალიან ბევრნი არიან. თვითეულ ჩინელს რამდენიმე საჟენი მიწა აქვს. ადგილის სივიწროვის გამო ჩინელები მეტად შრომის მოყვარენი არიან. განსაკუთრებით მიწას ამუშავებენ. ჩრდილო ჩინეთის მინდვრები მთლად დაფარულია პურისა და ლობიოს ნათესებით. სამხრეთ ჩინეთში მთების გრეხილების შუა მოჰყავთ ბრინჯი, შაქრის ლერწამი და ბამბუკი. ბამბა და ღაჟღაჟი ჩინეთში თითქმის ყველგან მოჰყავთ. ჩინელები ყანებს უფრო მუყაითად ამუშავებენ, ვიდრე ჩვენში ბოსტანს. ჩინელები აპატივებენ თავის ყანებს სხვა და სხვა გადანაყარით და რწყავენ კიდეც. თითქმის ყოველ მდინარიდან და ღელედან გაჰყავთ არხები. ჩინელები საპურე მცენარეებს ყანაში ხელითა რგავენ რიგზე, ამიტომაც აქ ყოველთვის დიდი მოსავალი იცის და სულ მცირე ალაგიდან ოჯახის გამოსაკვებად საკმარისი პური მოჰყავს ჩინელს. ის, ვინც მიწას არ დაამუშავებს და მიანებებს თავს, მიწას ართმევენ და აძლევენ სხვას. მიწის მუშაობა ჩინელებში უმთავრესს და ძალიან საპატიო ხელობად ითვლება. მოხელე-მანდარინების და ნასწავლების შემდგომ მიწის მუშაკებს პირველი ალაგი უჭირავთ. განსაკუთრებული დღესასწაული იციან მიწის მუშაობისა, ამ დღეს თვით ჩინეთის იმპერატორი „ცის შვილი“ პატარა მიწის ნაჭერს მოხნავს ხოლმე.

ჩინელები ბაღებსაც სამაგალითოდ უვლიან. სამხრეთ ჩინეთში ჩაის და თუთის ხე ჰხარობს. ჩაის ხის ფოთლებისაგან ჩინელები ჩაის ამზადებენ, ხოლო თუთის ხის ფურცლებით აბრეშუმის ჭიას ჰკვებავენ. ჩაიც და აბრეშუმიც ბევრი მოჰყავთ და ბევრსაც ეზიდებიან ევროპაში. ჩინეთის ჩაი საუკეთესო თვისებისა არის და ძვირადაც იყიდება. აბრეშუმის ქსოვილების დამზადებაში მათ ცალი არა ჰყავთ. ჩინელებისათვის კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას. ჩინეთის ზღვები და მდინარეები სავსეა თევზით. გარდა ზემო დასახელებულ საშუალებით ისინი თევზს იჭერენ და ამრავლებენ სხვა სახით. ჩინელები არხებში და საბრინჯე მინდვრებში აშენებენ თევზსა. შემოდგომაზე, როდესაც ბრინჯი მოიწევა, შემდეგ ამ მინდვრებში წყალს უგდებენ, შიგ პატარა თევზებს უშვებენ და ასე აშენებენ თევზებს, რომლებსაც იჭერენ გაზაფხულზე.

შრომის მოყვარეობა ჩინელებისა გასაოცარია და მისაბაძიც. ისინი მუშაობენ დღე, ღამე, ბინდისა სწორედ ამგვარ მუშაობით შეუძლიათ გამოიკვებონ თავი. იმათ არ გააჩნიათ საძრახისი და არა საძრახის მუშაობა. ქვის მტვრეველს, დღიურ მუშას, ხარაზს, დურგალს ისევე პატივის ცემით ეპყრობიან, როგორადაც ექიმს და საზოგადოდ ნასწავლ კაცს. ყველა ჩინელმა იცის სხვა და სხვა ხელობა, თუ ერთმა რომელიმე ხელობამ აზარალა, სხვა ხელობას მოჰკიდებს ხელსა. ქარხნები ჩინეთში ძალიან ცოტაა. სამაგიეროდ შინ ამზადებენ ოჯახისთვის და გასასყიდად აუარებელ ნაირ-ნაირ საჭირო და ძვირფას საგნებს. განსაკუთრებით კი ფაიფურის ჭურჭელს, აბრეშუმის ნაქსოვნების მომზადებაში, ხისა და სპილოს ძვლის ჩუქურთმაში ჩინელებს ბადალი არ ჰყავთ მთელ დედა-მიწის ზურგზე.

მიუხედავად შრომის მოყვარეობისა, იქაური დღიური მუშა გაცილებით ნაკლებს იღებს ვიდრე ჩვენში. ჩინელი მუშები იღებენ დღეში ერთ ან ორ აბაზს და სამუშაოც ვერ უშოვნიათ. ამიტომ აუარებელი მუშა ხელი დაიარება ჩინეთში უსაქმოდ. ბევრი სხვა ქვეყნებშიაც მიდის სამუშაოდ. ჩინეთში ძალიან ბევრი მდიდარი მადანია და მასთან ერთად ბევრი უსაქმო მუშები, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩინეთში არ შეიძლება მადნის დამუშავება კანონის ძალით, რადგანაც ამნაირი მუშაობა ხალხს გულს აცრუებინებს მიწის დამუშავებაზეო. **დ. ბურჭულაძე.**

(შემდეგი იქნება)

სხვა და სხვა ამბავი

— **მუშათა გაფიცვა.** ოქროს მადნებში, როგორც ირკუტსკიდან იტყობინებიან, 100 ათასი მუშა გაფიცულა. ამბობენ, ამ გაფიცვას ინგლისის მაღაროს მუშათა გაფიცვასთანა აქვს კავშირიო.

— **იმპერატორი დრამატურგი.** იმპერატორს ვილჰელმს დაუწერია დრამა „ოჯახი“. თავის ნაწარმოებში იმპერატორი თურმე ინტელიგენტთა ოჯახობის ცხოვრებას ეხება.

მაინც არ სცხრება!

(ბ. დეგოთელს)

როდესაც ბ. დეგოთელის წერილის შინაარსს ვეხებოდი, მიზნად მქონდა მისი ნაწერის შესწორება ფაქტიურის მხრით, ვინაიდან აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემი მოკამათე აჰქარებულა. მე მხოლოდ იმიტომ მივაქციე ყურადღება ცნობებს თუშების შესახებ, რომ ამ ცნობებით შესაძლებელი იყო ესარგებლნა ვისმე ან სამეცნიერო ან საპუბლიცისტო, ან სხვა მიზნით და ამ „ფაქტებზე“ დაემყარებინა თავისი ეს თუ ის დებულება. მე მქონდა სახეში მხოლოდ სიმართლე, ჭეშმარიტება, და არა ის, რასაც მაბრალებს ჩემი მოკამათე და რაზედაც მეც ნებას მივცემ ჩემ თავს ვსთქვა ორიოდე სიტყვა. ბ. დეგოთელი **არსებითად პასუხს** არ მაძლევს. ამის გარდა აშკარად სჩანს ისიც, რომ მას არ სცოდნია, როგორ უნდა შეისწავლოს ამა თუ იმ ხალხის (სოფლის, თემის) ცხოვრება. ცხოვრებას ბევრი მხარეები აქვს, იგი რთული მოვლენაა; ამიტომ მის შესწავლისათვის საჭიროა დაჰყოს ადამიანმა ბევრი ხანი რომელიმე ხალხში და თუ ამის დრო არა აქვს, მაშინ უნდა მიჰმართოს **ცნობილ პირებს.** ჩემი მოკამათის წერილში არც ერთი სჩანს და არც მეორე ბ. დეგოთელი ხელმძღვანელობს ამ დევიზით: „пришелъ, увидѣлъ, побѣдилъ“! ვინაიდან პირველმა გაკვეთილმა ამაოდ ჩაიარა, ულოცავ მისგან არჩეულ გზას...

რაკი ჩემგან დარღვეულ ფაქტებს ვეღარაფრით უშველა, რაკი თავისი ცნობები ვეღარ აღადგინა, ამის გამო ვეღარც პასუხი მომცა არსებითად. ჩემმა მოკამათემ მიჰმართა სხვა საშუალებას: მან დაიწყო სინჯვა ჩემი მსჯელობისა, ჩემი აზროვნობის ლოღიკისა. მე ბ-ნ დეგოთლის პასუხს შორს არ გამოვეკიდები: მოვიყვან მის ნაწერიდან მის მსჯელობის ერთ-ორ ნიმუშს და დავუბრუნდები სადავო საგნის ერთ-ორ ფაქტს კიდევ.

პირველი ნიმუში მისი მსჯელობისა. იმ ადგილას თავის წერილში, სადაც ეხება თუშების ეკონომიურ მხარეს, ამბობს: „ხშირად ხომ ისეთებსაც ნახავთ, რომლებსაც **3-ათ. 5 ათასი თუმანი ბანკში აქვს** (ყურადღება მიაქციეთ „ბანკში“. ხაზგასმული ჩემია დ.. ქ.) საპასუხო წერილში იმდენად უკან დაიხია ჩემმა მოკამათემ, რომ წარმოუდგენელია მისი მდგომარეობა. იმის მაგიერ, რომ მოეკრიფა მოქალაქობრივი ძალა და ეთქვა,—ჩემი მოწინააღმდეგე ამ შემთხვევაში მართალიაო, თავის საპასუხო წერილში განმარტავს: „ამის შემდეგ რა არის საკვირველი, რომ ისეთ მეცხვარეს, რომელსაც 5000—7000 (მის წინა წერილში ნაჩვენებია—8,000—10,000 სული ცხვარი,—ეს—„არ ქირი!“) სული ცხვარი ჰყავს, **ბანკში 3,000—5,000 მანეთი** ჰქონდესო (ხაზგასმული ჩემია. დ. ქ.)!?“ აბა, ბ-ნო დეგოთელო, თქვენ თვითონ შეადარეთ თქვენგან მოყვანილი ორი რიცხვი: 50,000 მანეთი და 5,000 მან. თქვენ გგონიათ, რომ 50.000 მ. **უდრის** 5,000 მან? ფაქტიური ცნობები კი არა ჰქონია ჩემ მოკამათეს იმის შესახებ, თუ ვის რამდენი ფული აქვს **ბანკში, თურმე** აპრიორულად სჯიდა. აი ინებეთ მისი გულთმისნური მოსაზრება. აღნუსხავს-რა ერთ-ერთ თუშის ქონებრივ შეძლებას (ვთქვათ, ააყენა 7 ათასი თუმანი), მეკითხება: „ამის შემდეგ რა არის საკვირველი (ზემოთაც ამოვწერე)“... რომ ამოდენა ქონების პატრონს 5,000 მ. ჰქონდეს ბანკშიო. დიაღ, მეც დავემოწმები, რომ აქ საკვირველი არა არის რა. მაგრამ ნებას მივცემ ჩემ თავს ერთი ამოცანით მივმართო ბ-ნ დეგოთელს. აი ამოცანაც. ივანეს აქვს ერთი მილიონი მანეთის შეძლება (ცხვარი, ცხენი, მამული)... კითხვა. რამდენი ფული აქვს **ბანკში?..**

თუშების ქიანების შესახებ მე მივაწოდე მკითხველს ასეთი ცნობა: არც ერთ თუშს ბანკში 3 ათას.-5 ათ. თუმანი არა აქვს; მეგულება რამდენიმე თუში, რომლებსაც ბანკში ექნებათ რვა-რვა ათასი მანეთი —მეთქი. ბ-ნ დეგოთელმა მიიღო ჩემი ცნობა ფაქტად, რადგან თითონვე ამბობს, რომ ზოგიერთ თუშს 5,000 მან. ექნება ბანკშიო. ჩემი მოკამათე ისე [illegible] თავის ულოღიკობამ, რომ ჩემ მიერ მოყვანილ რიცხვს—8,000 მ. —კიდევ დაუკლო და შეატანინა თუშს მხოლოდ 5,000 მ.

ბ-ნ დეგოთელის მსჯელობის მეორე ნიმუში. მე მოგახსენებთ ჩვენ დავას წოვა თუშებში ქორწინების შესახებ. ეხება-რა ბ-ნი დეგოთელი წოვა თუშების ქორწინებას თავის წინა წერილში, მოგვითხრობს: „ძველადვე განთქმულები იყვნენ თუშის ქალები როგორც თავის სილამაზით, აგრეთვე თავის შეურყეველი ზნეობითო“. სწორედ თუშის ქალის ამ თვისებებზე ამყარებს ჩემი მოკამათე იმ მოვლენას, რომ თუში ირთავს თუშის ქალს. ამის შესახებ მე შევნიშნე, რომ თუშების ისტორიოგრაფი (იგულისხმე ბ-ნი დეგოთელი) ღრმად არაა ჩახედული თუშების ქორწინების საქმეში მეთქი; და გამოვთქვი ის აზრი, რომ ქორწინების შინაარსი და ფორმები დამოკიდებულია საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე. მე დაუყენე ბ-ნ დეგოთელს შემდეგი კითხვები: რატომ ირთავს ხევსური ხევსურის ქალს, მოხევე თავის თემის ქალს, ქისტი—ქისტისას?.. ამ კითხვებს რომ დაჰკვირვებოდა ჩემი მოკამათე, უთუოდ თავის ნათქვამზე ხელს აიღებდა. თუში ირთავს თუშის ქალს, რადგან იგი ლამაზია და ზნეობით ფაქიზი? თქვენ პირს შაქარი! განა თქვენ არ იცით, რომ ყოველ ხალხს თავისი თავი ლამაზიც ჰგონია და ზნეობრივადაც მაღალი. ამ შემთხვევაში თქვენ მიერ წამოყენებულ მიზეზს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩ. დარვინი თავის მოგზაურობაში (გემზე „ბიგლ“) მოგვითხრობს, რომ ნეგრების ერთ-ერთ თემს ყველაზე ლამაზი ის ქალი მიაჩნიათ, რომელსაც მეტად დიდი აქვს უკანა ტანი; ასე რომ ადგომისათვის საჭიროა პატარა მაღლობი და ხელების დაბჯენაც. ალბად, ამის გამო ირთავენ ნეგრები თავიანთ თემების ქალებს. და ამასთანავე ნეგრებსაც ხომ თავიანთი ქალები მაღალი ზნეობისა ჰგონიათ... მაგრამ დავუბრუნდეთ თვით ავტორის მსჯელობას. ავტორი თვითონვე უარს ჰყოფს თავის ნათქვამს თუშების ქორწინების შესახებ. თავის აზრზე ბ-ნ დეგოთელს ხელი აღებინა რამოდენიმე თუშმა, რომლებთანაც საუბრი ჰქონდა მას ქორწინებაზე. აი, მოუსმინეთ: „ერთხელ,—მოგვითხრობს ბ-ნი დეგოთელი—ერთად შეკრებილ წოვა თუშებს შევეკითხე—რატომ სხვა ქართველ ქალებს არ ირთავთ, ისინიც ხომ ისეთივე ქრისტიანები არიან, როგორც თქვენა-მეთქი:—ჩვენ რომ სხვა ქალი შეუშვათ სახლში, ენას დავკარგავსო“. აქედან ჩემი მოკამათე ბრძნულად დაასკვნის: „მე მგონი ეს სიტყვები ყველაფერს გარ-

---

მათ წინ იშლებოდა? სამართლიანია თუ არა თითქმის საერთო ჩივილი იმის შესახებ, ვითომ ჩვენმა მწერლებმა ალღო ვერ აუღეს თანამედროვე სინამდვილეს და ვერ შესძლეს მისი სურათებით დახატვა?

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მწერლებმა ვერ ისარგებლეს მდიდარ მასალით და საერთო ჩივილიც მათ შესახებ, ერთის მხრით, მართალია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენი პირველხარისხოვანნი და ნიჭიერნი მხატვარნი, მომეტებულად უკანასკნელ ხანებში, უხალისოდ ეკიდებიან თანამედროვე სინამდვილეს და არ ცდილობენ ეს სინამდვილე რეალურად გამოხატონ ხელოვნებაში. შეიძლება ზოგიერთებს ეუცხოთ კიდეც, როდესაც ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენში ამ სინამდვილის [illegible] გამოსახვას ხელი მოჰკიდეს ჩვენში მეორე და მესამე ხარისხის მწერლებმა, რომელთა ნაწარმოებებში, სამწუხაროდ, მიზანი და იდეა ვერ შეეწონება ღირსებით აღსრულებას. მომეტებული ნაწილი თანამედროვე პირველ ხარისხოვან მწერლებისა, როგორც ვსთქვით, გვერდს უვლის, თითქმის გაურბის თანამედროვე სინამდვილის საფუძვლიანად შემუშავებას და უპირატესობას აძლევს ფსიხოლოგიურ ეტიუდებს, ნოველებს, მინიატურებს ან და ბუნების აღწერას, პირადი გრძნობების გამოხატვას.

ამ ნაკლს ჩვენი პირველ-ხარისხოვან მწერლებისას ავსებენ თავისის მუყაითის შრომით მათი, ნიჭით უფრო სუსტი, მაგრამ ცხოვრებაში ჩაკვირვებული, ამხანაგები. რა გინდ სუსტი და ნაკლები იყოს მათი ნაწარმოებები ესთეტიურის მხრით, მაინც, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები, ისინი თვალსაჩინო სიმდიდრეს წარმოადგენენ. ამ მწერლებს მადლობით უნდა ვიხსენიებდეთ და მათს ღვაწლს და შრომას ღირსეულად უნდა ვაფასებდეთ. მათი წყალობით ჩვენში ნელ-ნელა და თანდათან მუშავდება ნიადაგი რეალურ შემოქმედებისათვის, ვითარდება ტეხნიკა და ფორმა და—რაც ყველაფერზე უფრო საჭიროა და სასარგებლოა—ფართოვდება ქართველ მწერლის მსოფლმხედველობა, მასალათა სალარო და იდეათა სამეფო. ამ სახის შრომა და მუშაობა ჩვენის მწერლებისა, მათი დაკვირვება და ზნეობრივი და ჰუმანიური ცხოვრების განსჯვრეტა თანდათან ასწორებს და ამზადებს იმ გზას, რომელზედაც—გვრწამს და მოველით—მედიდურად გაივლის ჭეშმარიტი ძლიერი ტალანტი, რომლის მოწოდება და მოვალეობა იქნება სინტეზი გაუკეთოს ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებას და დაგვიხატოს ხელოვნურად და მთლიანად ჩვენი ცხოვრება.

თემა, იდეა ჩვენს მუშაკ მწერლებს ყოველთვის სიმპატიური და ჰუმანიური აქვთ. მომეტებულს შემთხვევაში მათ მიზნად დაუსახავთ სწავლა-დარიგება ან მხილება, ისინი თვის უწმინდეს მოვალეობად სთვლიან გასწორონ ზნე-ჩვეულებანი, გაჰკიცხონ და დაჰგმონ სიბოროტე და დააჯილდოვონ სათნოება, სიკეთე, მათს ნაწარმოებებში მოქალაქობრივი მოტივები სჭარბობს. ფორმის სიმშვენიერეს, ტეხნიკის უნაკლულობას ისინი არ მისდევენ, ვინ იცის შეიძლება იმისთვინაც, რომ ღონე ვერ შესწევთ. ჩვენი მუშაკი მწერლები თხზავენ მოთხრობებს და ამბებს კეთილის მიზნით, ხშირად იმისთვის, რომ სწადიანთ კეთილი აკეთონ, იქადაგონ, სთესონ. მათმა ნაწარმოებებმა, გარეგნულად მაინც, მშრალი და განყენებული ქადაგების ხასიათი რომ არ მიიღოს, ისინი ცდილობენ შეიტანონ მოთხრობებში რამოდენიმე მესაქცევარი და სახალხო ეპიზოდები. რადგანაც გეგმა მათის მოთხრობებისა, მომეტებულს შემთხვევაში, ბუნებრივად არ სდგება, არამედ თვით ავტორები ამზადებენ წინასწარ მოფიქრებით და მოაზრებით რომელიმე ზნეობრივი ტენდენციის გამოსახატავად, ამისათვის მუშაკი მწერლები იძულებულნი არიან ცხოვრების ფაქტები მექანიკურად შეუხამონ და შეუწონონ განზრახულს ტენდენციას. რასაკვირველია, ასეთ ნაირად შემდგარ მოთხრობებში მოქმედება თავისუფალ მიმდინარეობას მოკლებულია, თვით მოთხრობა შემდგარია სხვა და სხვა კონკებისაგან და ავტორიც, იმისდა ნაცვლად, რომ შემოქმედებას მიეცეს, გართულია ცხოვრების ფაქტების და მოვლენების მექანიკურად შეკეთებაში და დალაგებაში. თვით მუშაკი მწერალი არ ჰფარავს თვის ტენდენციას, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ფართე საზოგადოება და ახალგაზრდობა მას არ დასძრახავს, მსჯავრს არ დასდებს ზნეობრივი ტენდენციის ქადაგებისათვის, პირიქით ის მოიხიბლება ამისთანა აზრებით და იდეებით. მართლაც, მოთხოვნილება ასეთის ხასიათის მწერლობაზე სხვაგანაც და ჩვენ ფართე საზოგადოებაშიაც შედარებით დიდია და ყოველივე კრიტიკა და ყვირილი მათ წინააღმდეგ ესთეტიკოს კრიტიკოსებისა და ნიჭიერ მხატვრებისა მიზანს არ აღწევს: მათ ხალხი და ახალგაზრდობა მაინც სიამოვნებით კითხულობენ და აფასებენ. ესთეტიკოს კრიტიკოსები და ჭეშმარიტი მხატვრები, ერთის მხრით, მაინც მართალნი არიან თავიანთ გულისწყრომაში, ვინაიდან მხატრულად არა სრულის ნაწარმოებების გავრცელება ესთეტიურ გემოვნებას ამდაბლებს საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივ მცხოვრების აწერი ისტორიკოსი კი ყურადღებით და ფრთხილად უნდა მსჯელობდეს მათ შესახებ. თუმცა, მართალია, გეგმა და აღსრულება ჩვენის მუშაკ მწერლების ნაწარმოებებისა ხშირად სიმშვენიერეს და სისრულეს მოკლებულია, მაგრამ მათში წვრილმანებს და ცხოვრების სურათებს აქვს ისტორიული და ზოგჯერ ლიტერატურულიც ფასი, მნიშვნელობა, თვით სურვილი და მისწრაფება ამ მწერლებისა ილაპარაკონ სინამდვილეზე, აღნიშნონ მისი ვითარება, აიძულებს მათ თან-და-თან შეიმუშაონ ხერხი რეალურ შემოქმედებისა და მართლაც არა ერთხელ მოხდება ხოლმე, რომ მათ ავიწყდებათ ტენდენცია და გატაცებულნი არიან პროცესით... და ხანდისხან ისე რაც მათ აღწერეს, თვით ღირსია აღწერისა და ყურადღებისა.

ჩვენ კიდევ დიდს ხანს დაგვჭირდება დიდის ნიჭის მოლოდინი, თუ მის ძლევა-მოსილს გამოსვლას, ცხოვრების ღრმა სინტეზს და ჩვენი **ეროვნული** (ხაზს უსვამთ სიტყვას „ეროვნული“, რადგანაც ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ეტნოგრაფიულის ხასიათის მოთხრობები გვაქვს) ზნე-ხასიათის, თვისებების და მთელ რეალურ სინამდვილის ხელოვნურად ცოცხალ და უკვდავ სურათებში გამოსახვას **წინამორბედად**, გზის გამკაფავად, მასალის მოსამზადებლად, ლიტერატურულ ხერხის და ფონდის გასაუმჯობესებლად არ ეყოლება მუშაკი მწერლები. უკანასკნელები ამზადებენ ნიადაგს, აგროვებენ მასალას, აჩვევენ ხალხს კითხვას, ამყარებენ სხვა და სხვა ლიტერატურულ მიმართულებას, თარგმნიან უცხო მწერლებს, ჰქადაგებენ ჰუმანიურს იდეებს, შეჰყავთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ზნეობრივი; საზოგადოებრივი და პოლიტიკური ტენდენციები. ამნაირად მათს მოქმედებას ლიტერატურულს მოღვაწეობას თანამედროვეთათვის—აღმზრდელობითი, შთამომავლობისათვის კი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ვინ შეჰქმნა ოქროს ხანა ჩვენის სიტყვა-კაზმულის და საფილოსოფიო ლიტერატურისა?—არა მარტო ჩახრუხაძემ, მოსე ხონელმა, შოთა რუსთაველმა, პეტრიწმ და სხვა პირველ ხარისხოვან მწერლებმა. ოქროს ხანის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით იმ, თავის დროზე მეორე ხარისხოვან, დღეს კი მთლად დავიწყებულ, მწერლებს, რომლებიც სთარგმნიდნენ, ლექსავდნენ მოშაირობდნენ და მით ზრდიდნენ, ასაკში მოჰყავდათ ეროვნული ლიტერატურა. ჩვენი გენიოსი მწერლების—შოთასი და პეტრიწის მოღვაწეობა მხოლოდ სინტეზია ამ უჩინარ, მაგრამ სასარგებლო მწერლების ნამოქმედარისა.

დ. მეგრელი სწორედ იმ **მუშაკ მწერლების** გუნდს ეკუთვნის, რომელთა ნაწარმოებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. როგორც ვსთქვით, დ. მეგრელი სხვებთან ერთად გზას უკაფავს, მასალას უმზადებს ჩვენს მომავალს დიდს ეროვნულს მხატვარს. თავის თავადაც მის ნაწარმოებს, როგორც ჰუმანიურის იდეებით გაჟღენთილით, თანამედროვე ცხოვრებისათვის აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. დ. მეგრელის მოთხრობები, რასაკვირველია, საშვილის-შვილოდ არ გარდაეცემა მომავალს თაობას,—ჩვენზე უფრო გონებით და გრძნობით გაწრთვნილ-გალამაზებულს, — ესთეტიურ გრძნობას ვერ დაუტკბობს, სიამოვნების ცრემლებს ვერ მოჰგვრის. მაგრამ მომავალი ჩვენი კრიტიკოსი და საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიკოსი მადლობით მოიხსენებს მათ ავტორს და შესაფერს ადგილს მიაკუთნებს ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.

და ვგონებთ, ასეთის ბედითაც მადლიერნი უნდა იყვნენ საზოგადოდ ჩვენი მუშაკ მწერლები, კერძოდ—დ. მეგრელი, რადგანაც მათს შრომას დააფასებს და მადლობით მოიხსენიებს მომავალი. ამისათვის ჩვენი მუშაკი მწერალნი დეე ნუ იუკადრისებენ თვის არა ბრწყინვალე როლს, თავ-მოყვარეობის და განდიდების მადას ნუ აჰყვებიან; დეე აკეთონ მათ გულმოდგინედ, ერთგულად თავიანთი პატარა, მაგრამ სასარგებლო და საშვილი-შვილო, საქმე და ახსოვდეთ ყოველთვის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები კრილოვისა (აკაკის არა აქვს ის იგავ-არაკი გადმოთარგმნილი, ამისათვის იძულებულნი ვართ რუსულად მოვიყვანოთ):

„Счастливъ, кто на чредѣ трудится знаменитой:
Ему и то ужъ силы придаетъ,
Что подвиговъ его свидѣтель цѣлый свѣтъ;
Но сколь и тотъ почтенъ, кто въ низости сокрытой,
За всѣ труды, за весь потерянный покой,
Ни славою, ни почестьми нельстится,
И мыслью оживленъ одной,
Что къ пользѣ общей онъ трудится“.

გამოვსთქვით რა ზემოდ ჩვენი ზოგადი შეხედულობა ჩვენს მწერლებზე და მწერლობაზე, ქვემოდ შეუდგებით დ. მეგრელის მოთხრობის შეძლებისდაგვარად გარჩევას და დაფასებას. **ივ. ვართაგავა.**

(შემდეგი იქნება)

კვევით გვეუბნებაო“. ნეტა რომელია აქ მართალი თუშების ქორწინების საკითხში: ბ-ნი დეგოთელი, რომელსაც მიზეზად წამოუყენებია სილამაზე და ზნეობის სიფაქიზე, თუ თუშები, რომელნიც თავის შეხედულებას ამყარებენ ენის დაკარგვაზე? ბ-ნ დეგოთელს, როგორც თითონვე აღიარებს, თუშების აზრი ჭეშმარიტებად მიუღია. აქედან დასკვნა: **თვით ბ-ნ დეგოთელის აზრი თუშებში ქორწინების შესახებ სიცრუე ყოფილა,** იმის მაგიერ, რომ გაებათილებინა ჩემი ზოგადი აზრი თუშების ქორწინების საკითხში, ბ-ნი დეგოთელი ებღაუქება დედამთილისა და რძლის დავას. როდესაც მე ჩემ წერილში ვლაპარაკობდი იმის შესახებ, თუ როგორ ექცევიან თუშები სხვა თემიდან მოყვანილ ქალს, სხვათა შორის შევნიშნე, რომ ახალ რძალს უფრო მკაცრად ეპყრობა დედამთილი—მეთქი. ამ სიტყვებმა ცას დააწიეს ბ-ნი დეგოთელი, რადგან—მისი აზრით—ჩემი სიტყვები ამართლებენ მის აზრს, რომელიც გამოიხატება შემდეგ წინადადებაში: „შენი მტერი, თუ თუშმა გაბედა სხვა ქალის შერთვა. ამას ხომ არც სახლში შეუშვებენ და აღარც მონათესავეები მიიღებენო“... განა შესაძლებელია, რომ ამისთანა ზოგადი მოვლენა დააფუძნოს ადამიანმა ერთობ მცირე და კერძო მოვლენაზე—დედამთილის და რძლის შუღლზე? განა არ იცის ბ-მა დეგოთელმა, რომ დედამთილის და რძლის შორის მწვავე დამოკიდებულება არაკად იყო გადაქცეული მთელ საქართველოში? მასზე მოგვითხრობენ ზღაპრები, ლეგენდები, ზეპირგარდმოცემები, ლექსები და **სალამურიც-კი.** მაშ, რად გაუკვირდა ჩემ მოპირდაპირეს შუღლი დედამთილსა და რძლის შორის? ოჯახს, ნათესაობას, თემს მარტო დედამთილი ხომ არ შეადგენს?.. ამისთანა ლოღიკური კურიოზებითაა სავსე ბ-ნ დეგოთელის საპასუხო წერილი, რის გამო გადავდივარ მის წერილის ფაქტიურ მხარეზე.

უმთავრესი ჩვენი დავა ტრიალებს „გარდმოცემის“ გარშემო. ზეპირგარდმოცემის შინაარსი ზოგადად განვიხილე და მისი სიყალბე ვაღიარე; ეს მოვახდინე მაშინ, როდესაც ჩემ მოკამათეს მისგან მოყვანილი ლეგენდა ისტორიულ ფაქტად მიაჩნდა. და ვინაიდან მის წინა წერილის ეფექტი სწორედ ამ ზეპირ გარდმოცემაზე იყო აშენებული და რადგან ლეგენდის შინაარსი უშინაარსო გამოდგა, ბ-ნი დეგოთელი გაოცდა და განცვიფრების სფეროდან ვერც თავის საპასუხო წერილში გამოსულა. „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, თვით ზეპირ გარდმოცემაზე ქვემოდ მექნება საუბარი, ხოლო ეხლა ჩამოვაგდებ ლაპარაკს ერთ კითხვაზე, რომელიც გამოიწვია „გარდმოცემის“ შინაარსის გარჩევამ. ჩემმა მოკამათემ თავის წინა წერილში, ბევრთა შეცდომათა შორის, ჩაიდინა ერთიც. არც აცხელა, არც აკივა, და ღლიღველები და ქისტები (ჩაჩნელთა თემები) დაღესტანში დაასახლა. ამის შესახებ მოვიყვანე შემდეგი ფაქტიური შესწორება, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშე დგას და მივაწოდე ბ-ნ დეგოთელს სულ უბრალო ფაქტიური ცოდნა, რომლითაც უნდა იყოს შეიარაღებული ყოველი ანბანის მცოდნე ადამიანი. რაკი ღლიღველი (ღალღაი, ღალღუთ), ქისტი და ჩაჩანთა სხვა თემები დაღესტნის მკვიდრთა შორის აღმოაჩინა დასახლებული, ამის გამო მე ასეთი დასკვნა გამოვიყვანე: მაშ, ჩაჩანი დაღესტანში ყოფილა-მეთქი (ბავშვურად შენიშნავს ბ-ნი დეგოთელი ფრჩხილებში: „ჩაჩანი მე არ მიხსენებიაო“). ფრჩხილებში მოყვანილ სიტყვებიდანა სჩანს, რომ ბ-ნ დეგოთელს ამ კითხვაში თავის აზრზე სრულებით ხელი აუღია, მაგრამ „მაინც არ სცხრებაო“. მოუსმინეთ მის „ისტორიულ გამოკვლევას“... „თქვენ დაგვიწყებიათ, რომ ერთ დროს ღლიღველები, ნოღები, ქისტები და სხვანი (ვინ „სხვანი“? აკი ჩაჩნზე არ ლაპარაკობდით!) შამილის ქვეშევრდომნი იყვნენო“. და რომ თავისი ეს „ფაქტი“ ცხად ეყო, ბ-ნმა დეგოთელმა ჩაიდინა ცოდვა ისტორიის წინაშე და წარბ-შეუხრელად გვეუბნება შემდეგს: **„შამილის სამეფოს კი** (ხაზი ჩემია. დ. ქ.) დაღესტანს ეძახდა ჩვენი ხალხიო“. შამილის სამეფო, შამილის მეფე,—არ გამიგონია! სად, როდის, რომელ გამოკვლევაში ამოიკითხეთ ეს „ფაქტები?“ უნდა ვიფიქროთ, რომ შამილს „მირონი ეცხო“ მეფედ თვით ბ-ნ დეგოთელისაგან. ჩაჩნელები არას დროს არ ყოფილან შამილის „ქვეშევრდომნი“. მინამ შამილი გაჩნდებოდა საისტორიო ასპარეზზე, ჩაჩანი თავისით, **როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა,** უკვე ებრძოდა რუსეთის მთავრობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი სცდილობდა დამკვიდრებულიყო ამ ქვეყანაში. ამის შესახებ პოტტოს წიგნში (Кавказск. война. 62 გვ.) ვკითხულობთ: „მხოლოდ ჩაჩნის შეპყრობით შესაძლებელი ხდებოდა აღმოსავლეთ კავკასიის ხალხების დამონავებაც“. და ცოტა ქვემოდ გადაჭრით გვეუბნება: **„ჩაჩნის თვით ბუნებაც და ხალხიც მაგრად იდგა თვის დამოუკიდებლობის შესარჩენად** (ხაზი ჩემია. დ. ქ.)“. როდესაც დაღესტანმა, **შამილის მეთაურობით,** აღმართა საბრძოლველი დროშა და მიჰმართა ყორანის მიმდევართ თავის მეზობლებს, მაშინ ჩაჩანი დროებით **შეუერთდა** დაღესტნის მოძრაობას, და შამილი მიიღო, როგორც საერთო სარდალი. ვფიქრობ, რომ თავისუფალი კავშირი და ქვეშევრდომობა ერთ და იგივე კატეგორიის ცნება არაა. ერთ წელიწადს (ამისი საბუთი ხელთ არა აქვს) **თუშებმაც მისცეს შამილს კომლზე თითო მანეთი და აღუთქვეს ქომაგი რუსებთან ბრძოლაში.** ბ-ნ დეგოთელის ლოღიკით რომ ვიმსჯელოთ, ამ ფაქტიდან უნდა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: თუშები იყვნენ შამილის ქვეშევრდომნი. უფრო უკეთესი დასკვნა: მაშასადამე, თუშეთი მდებარეობდა დაღესტანში... ვიმეორებ, ბ-ნო დეგოთელო ჩაჩანი დაღესტანშია ისევე არ ითქმის, როგორც—კახეთი ქართლშიაო...

დ. ქადაგიძე.

(დასასრული იქნება)

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

კაშგარი. ადგილობრივ მთავრობას სინ!იანის გუბერნატორმა ჩინეთის რესპუბლიკად გამოცხადებისა და ახალი კალენდრის შემოღების ამბავი აცნობა. კაშგარში სრული მშვიდობიანობაა.

ჩიფუ. ქალაქში აუარებელი ყალბი ფული ტრიალებს. ძარცვა-გლეჯა გახშირდა. სძარცვავენ ჯარისკაცნიც. ჯარის-კაცთა ნაწილი ქალაქის პირდაპირ მდებარე ნახევარ კუნძულზე გადაიყვანეს. ძინანფუსა და აქაურ პროგრესისტების საზოგადოებამ იუანშიკაის გუბერნატორების არჩევის უფლება მოსთხოვეს.

ურგა. ხუტუხტამ იუანშიკაის საპასუხო დეპეშა გაუგზავნა. იგი აღნიშნავს, ხალხმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა ბოგდოს ერის ტერიტორიის და სარწმუნოების ხელ-შეუხებლობის დასაცავადაო. ხუტუხტა იუანშიკაის სთხოვს, მონგოლეთის შინაური საქმეები მომაწესრიგებინე და საზღვრების დაცვაში დამეხმარეო. ხუტუხტა ბოლოს ამბობს, პირადად შემეძლო დამოუკიდებლობაზე ხელი ამეღო, მაგრამ ხალხის წინააღმდეგ ვერას გავხდებიო. უნდა დაგვეხმარნეთ და მონგოლეთის საკითხის გადაწყვეტა მიანდოთ დაინტერესებულ სახელმწიფოთაო.

პეკინი. პრეზიდენტმა შიჩჟაოძის ჩაბარა გზათა მინისტრობა, ფანუანლიანს—განათლების მინისტრის თანაშემწეობა. სათათბირო კრების დეპუტატებს 8 აპრილს მოელიან.

მუკდენი. ჯაოერსუნს საფრანგეთის ერთ ფირმისათვის რვა მსწრაფლ მსროლელი და 60 საველე ზარბაზანი შეუკვეთნია, ჯაოერსუნმა დარჩენილი გადასახადი აპატია მცხოვრებლებს.

ხანკოუ. ნანკინიდან უჩანს ჩასულა სუნიათზენი. იგი ლიანსანქუნს ჯარის დათხოვნის გამო უნდა მოელაპარაკოს.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თეირანი. ქამადანში რაღაც ჩოჩქოლია, რის გამოც რუსეთმა ყაზვინის რაზმის ასი კაზაკი გაჰგზავნა ქამადანსა და ორი ტყვიის მფრქვეველი გაატანა.

ქოი. ოსმალეთის კორპუსის უფროსი ჯაბარ-ფაშა და ადერბეიჯანში მყოფი რუსის ჯარის უფროსი ვორობანოვი ერთმანეთს ეწვივნენ. ორივეს თურმე ბევრი უბაასნია რუსეთისა და ოსმალთა ჯარის შორის მომხდარ ინცინდენტების გამო.

პეტერბურგი. ცნობათა მომცემი ბიურო იუწყება: გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ მიკერძოებული წერილები იბეჭდება სპარსეთის საქმეების გამო. წერილები კრიტიკას უწევს იმპერატორის მთავრობის მოქმედებას. გარეშე საქმეთა სამინისტრო საჭიროდ სცნობს საზოგადოება გააფრთხილოს გაზეთი • წერილების გამო. რუსეთის მთავრობის მიზანია—სპარსეთში რაც შეიძლება ჩქარა მოისპოს არეულობა, რომელიც რუსეთის საეკონომიო ინტერესებს ძლიერ ვნებს. იმპერატორის მთავრობა მოქმედებს ამ მიზნის მიხედვით და უწევს ანგარიშს სპარსეთის მდგომარეობასაც, რომლის ნამდვილი ვითარებაც ნათლადა აქვს წარმოდგენილიო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

28 მარტი.

წყალდიდობა.

მემფისი. თენესის შტატში 2 ათასი მილი ადგილი წყალს დაუფარავს. მისისიპის ნაპირებზე 30 ათასი კაცია მშიერ-მწყურვალი. დამხრჩვალა 30 კაცი. ზარალი თითქმის 10 მილიონს უდრის.

გემის დაღუპვა.

ქაირო. ნილის ნაპირებთან მგზავრებით სავსე გემი „ომნიბუსი“ დაიღუპა. ამბობენ, ას კაცზე მეტი დაიღუპაო.

ჩინელთა და ტიბეტელების ბრძოლა.

კალკუტა. სამხრეთ ტიბეტში ჩინელებსა და ტიბეტლებს დიდი ბრძოლა ჰქონდათ. ტიბეტელებს გაუმარჯვნიათ. ცზანის პროვინციაში ჩინელ ჯარისკაცთათვის იარაღი აუყრიათ. ტიბეტელების ჯარი აპირებს გაემგზავროს ლხასას, სადაც ჩინელების ჯარია დაბანაკებული.

გალიციის ვითარება.

ლვოვი. წყალდიდობას ხალხი ყველგან დიდად დაუზარალებია. ამბობენ, მეფის მოადგილე ბადენი მაისში სამსახურს თავს დაანებებსო. კანდიდატებად ასახელებენ კორიტოვსკის, აბრაგამოვიჩს და ტარნოვსკის.

ჩეხელნი და ხორვატია.

პრაგა. ჩეხელთა სახელმწიფო უფლების პარტიის წარმომადგენელთა კონგრესმა სერბიელ-ხორვატელებს თანაგრძნობა გამოუცხადა იმ ბრძოლის გამო, რომელსაც მადიართა ბატონობის წინააღმდეგ ეწევიან. შემდეგ გამოთქმულია იმედი, რომ ჩეხელთა და სერბიელ-ხორვატელთა საეროვნო ბრძოლა შეჰქმნის ჩრდილოეთში ჩეხელთა ძლიერ სამეფოს და სამხრეთით დამოუკიდებელ ხორვატიასაო.

რუსეთი

30 ათასი მანეთის მოპარვა.

ოდესა. სვიატოპოლკ-მირსკის მოურავმა ფედოკოვიჩმა მაძებარ პოლიციას აცნობა, შეპეტოვკაში საკვლიაჟი მომპარეს, რომელშიაც 30 ათასი მანეთი და სხვა და სხვა ფასიანი ქაღალდები მქონდაო.

გაზეთების დაჯარიმება.

მოსკოვი. გაზეთი „კოპეიკა“ და „უტრო როსიი“ ხუთას ხუთას მანეთით დააჯარიმეს პეტერბურგში ობუხოვის ქარხნის მუშათა გაფიცვაზე ამბის დაბეჭდვისათვის.

უცხოეთი

ჰუნგრეთი და ხორვატია.

ჰმუნგრეთმა და ხორვატიამ ხელმეორედ მიიქცია ქვეყნის ყურადღება. კუენქედერვარი შეეცადა რეზერვისტების საკითხის გამო მეფეს შებრძოლებოდა და რაკი დამარცხდა, საქმის გამსატრიალებლად ხერხს მიჰმართა. ხორვატიელებს გამოუცხადა სასტიკი ომი და ბრძოლა. პირველმა მინისტრმა კარგად იცის მადიართა ხასიათი და გულის წადილი, იცის მათი სიძულვილი ხორვატიის ავტონომიისადმი, ამიტომ კარგ გზას დასდგომია, საქმე კარგად გამოუნგარიშნია. ხორვატელებთან ბრძოლას ისე ჩაუნთქავს მადიარები, იმდენად გატაცებულნი არიან სიძულვილით, რომ აღარც კი ახსოვთ პარლამენტი, სამინისტროს კრიზისი და ფრანც-იოსების ტახტიდან გადადგომის სურვილი. ქედერვარის მიერ გაუქმება ხორვატიის საკონსტიტუციო გარანტიებისა კაცს გააკვირვებს თავისის ცინიზმითა. ხორვატელთა სამი პარტია შეთანხმებულა. ნუ გავგზავნით დელეგატებს ხორვატიის სეიმის სახელით ჰუნგრეთის პარლამენტშიო. ეს ჰუნგრეთის მიერ 1886 წლის კანონების დარღვევამ გამოიწვია. 1886 წლის კანონი ხორვატიის ავტონომიას უზრუნველჰყოფდა. ხორვატიის ერს ეს ერთად-ერთი საშუალება და დარჩენია პროტესტისათვის. ჰუნგრეთის მთავრობამ ხორვატიაში საალყო წესები რო გამოაცხადა, ამით კონსტიტუცია შეურაცხჰყო და უარჰყო. ხორვატიაში მართლაც ისეთი არა მომხდარა-რა, არეულობა არა ყოფილა. და ამისათვის მეფის მოადგილედ ნამყოფ ცუვაის სისასტიკეს ვერავინ გაამართლებს. ცუვაის ტაქტიკა პროვოკაცია ას წააგავს, ჰსურთ ხორვატელები ააჯანყონ და შემდეგ ეს ქვეყანა სისხლით მორწყონ.

გრაფმა ქედერვარიმ ჯერ მაშინ ისახელა თავი, როდესაც ხორვატიაში მეფის მოადგილედ იყო, იგი ხორვატელების გამადიარებას სცდილობდა, ვერაფერს გახდა და იძულებული იყო ტომაშიჩისათვის დაეთმო ადგილი. ხორვატელებს დიდი სიფრთხილე ჰმართებთ. გარეშე ძალის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ხორვატიის საკითხი ავსტრია-ჰუნგრეთის შინაური საქმეა და სხვას ხელი არა აქვს.

იმპერატორი ფრანც-იოსები ცუდ მდგომარეობაშია. მის მეფობის ბოლო ხანებში იმ ხალხსა სდევნიან, ურომლისოდაც იგი სამეფო ტახტზე ვერ ავიდოდა და ვერც ჰუნგრელთა აჯანყებას ჩააქრობდა, ავსტრია-ჰუნგრეთს მხოლოდ ერთი რამ იხსნის და ერთი რამ მოსპობს ერთა შორის ბრძოლას. საჭიროა დუალიზმზე ხელის აღება, ფედერაციის გამოცხადება. ფედერაციაში 5—6 სახელმწიფო იქნება და საერთო მეფე ეყოლებათ, მაგრამ ამას როგორ გაჰბედავს მშვიდობიანი და ყველაფერში ზომიერი მეფე ჰაბსბურგთა მონარქიისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი,—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ვ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, აგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათოჲით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მის[illegible] ქ. № [illegible] ს. გაბაშვილისა.—(უ

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ეკიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1074.45)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯღავაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—16)

განცხადებანი

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა“
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან. დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—15

ხუდადოვის ტყეში
(ნაძალადევში)
როგორც წარსულ წელს, წელსაც აღდგომიდან გაიხსნება პავილიონი „მთის ნიავი“ (Горный вѣтерокъ).
არის ყოველნ. საუკეთ. გასაგრილ. სასმელები, ლუდი (პივა) და საცივი საუზმ. პავილიონთან მოწყობილია ხეივნები და მშვენიერი ჩეროები.
(6.320.3)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—25)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა სად. სკრაში
კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.
ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 **წ. მოსკოვში** ამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოებისა საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე.
(6 -1120—6)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი საყმაწვილო ნათარგმნი წიგნები:

ბუს თავგადასავალი, დასურათ.	20	კ.
გულივერის მოგზაურობა.	„ . 30	„
დედა, ანდერსენისა,	„ . 8	„
დონ-კიხოტი, დ. ყ-ნისა,	„ . 25	„
ემმა ჰავაელი პატარა ქალი.	„ . 15	„
ზანგის სამკვიდრო	„ . 10	„
ზანგი და თეთრი	„ . 15	„
ზღაპრები ანდერსენისა წ. II	„ . 10	„
კეთილი ძაღლი	„ . 20	„
ლედი-ჯენ	„ . 35	„
მოწაფის დღიური	„ . 80	„
მათიკო და მისი გიშერა	„ . 5	„
მეფე ლამზა	„ . 15	„
მამის ერთგული	„ . 5	„
მტრედი-შმიდტისა.	„ . 10	„
მეუფება წყვდიადისა, ტოლსტ.	40	„
ნელო და პატრაში	„ . 10	„
პაწია და ბუნგლია.	„ . 30	„
რობინზონ კრუზე.	„ . 30	„
სვიის გვირგვინი	„ . 15	„
ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.	„ . 60	„

ტომის თავგადასავალი.	„ . 50	„
უსახლ-კარო. ნათ. ხუსკ.	„ . 50	„
ყვავილთა შორის.	„ . 45	„
ხუთი ამბავი.	„ . 15	„
ხუმარა სპილოები.	„ . 20	„
ჯიანეტა.	„ . 30	„

ახლად მიღებული წიგნები

ბრძოლა საქ. მოსასპობად და საქ. შესაერთებლად ანუ გ. სააკაძე და მისი დრო . . . . 1—
ლექსები და სცენები. ახნაზაროვისა. . . . . 60 კ.
ღვთის წყალობა. საყმ. მოთხრობა გ. წერეთლისა. . . . . 20 „
პატრი მიხეილ თამარაშვილი. ზ. ჭიჭ. . . . . 10 „
ამხანაგი დრამა 4 მოქ. . . . 25 „
სრული თხუზ. ე. გაბაშვილისა 1—20 „

ეს უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—14)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.